

Image not found or type unknown

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იწვევს ჟურნალისტებს “საგამოძიებო ჟურნალისტიკის ზამთრის სკოლაში”

“ზამთრის სკოლა” საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მიზნად ისახავს ქართული საგამოძიებო ჟურნალისტიკის ხელშეწყობას, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში აუცილებელი სამართლებრივი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვას, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი აქტუალური თემების გამოძიების წახალისებას.

“ზამთრის სკოლას” ორგანიზებას უწევს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

“ზამთრის სკოლის” მხარდამჭერია საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭო (IREX) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის “ქართული მედია აძლიერებს დემოკრატias, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას” (G-MEDIA) ფარგლებში.

“ზამთრის სკოლა” გაიმართება თებერვალი-აპრილის პერიოდში (ზუსტი თვე და რიცხვები განისაზღვრება მონაწილეთა შერჩევის შემდეგ) და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 9 დღეს.

“ზამთრის სკოლა” მოიცავს შემდეგ ძირითად (სავალდებულოდ განსახილველ) პროგრამულ საკითხებს:

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის არსი და მისი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში
- ჟურნალისტის სამართლებრივი იმუნიტეტი
- ჟურნალისტური გამოძიება, როგორც წინასწარ გამოძიებასა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე გარეგანი კონტროლის მექანიზმი
- იურიდიული (სამართლებრივი) ტერმინოლოგია და მისი გამოყენება ჟურნალისტური გამოძიებისას
- სისხლის საპროცესო კოდექსი და ჟურნალისტური გამოძიება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- ინფორმაციის გავრცელება
- სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები
- ლიბერალური და რეპრესიული მოდელის სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ადამიანის უფლებები
- უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
- ზემოქმედების განხორციელება მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ჟურნალისტური გამოძიებისათვის ინფორმაციის მისაღებად
- ინტერესის ობიექტის განსაზღვრა (სახელმწიფო ხელისუფლება; ა/რ და რეგიონული მმართველობის ორგანოები; ადგილობრივი თვითმმართველობა)
- ადმინისტრაციული ორგანოები
- თანამედროვე საქართველოს ბიუროკრატის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება
- ინფორმაციის წყაროები, ინფორმაციის წყარობთან ურთიერთობა
- ინფორმაციის თავისუფლება და საგამოძიებო ჟურნალისტიკა
- ღია საჯარო ინფორმაცია + საგამოძიებო ჟურნალისტიკა
- დახურული (საიდუმლო) ინფორმაციის სახეები
- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება
- გასაჩივრების მექანიზმები საჯარო ინფორმაციის მისაღებად
- საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობის საფუძვლები
- მუშაობა საინფორმაციო წყაროებთან
- ინფორმაციის შეფასება
- ინფორმაციის უსაფრთხოება
- და კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების მიერ შერჩეულ რამდენიმე თემას ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:
- სანებართვო სამართალი
- პრივატიზაცია
- სახელმწიფო შესყიდვა
- სამეწარმეო წესრიგი (გადასახადები, სამეწარმო კონტროლი, მეწარმისა და მომხმარებლის უფლებები)
- განათლება
- ეკოლოგია
- ჯანდაცვა

“ზამთრის სკოლა” წარიმართება სწავლების ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებით. აქცენტი გაკეთდება არამხოლოდ თეორიული მასალის მსმენელთათვის მაღალი ხარისხით მიწოდებაზე, არამედ თითოეული მსმენელის სასწავლო პროცესში მაქსიმალურ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჩართულობაზე.

“ზამთრის სკოლა” ითვალისწინებს კუთვრულ და განტვირთვის ღონისძიებებს, რა დროსაც შესაძლებელია ჩატარდეს გუნდური სულისკვეთების განსამტკიცებელი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და ერთი მცირე ლაშქრობა ისტორიული ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

“ზამთრის სკოლის” ტრენერებად მონვეულ იქნებიან მაღალპროფესიონალი ექსპერტები, რომლებიც წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით ფლობენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

“ზამთრის სკოლაში” მონაწილეობა შეუძლიათ ქვეყანაში არსებულ მედიასაშუალებებში დასაქმებულ ჟურნალისტებს, რომლებიც მინიმუმ 2 წელია, რაც ახორციელებენ ჟურნალისტურ გამოცდილებას.

სკოლის მონაწილეთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს კანდიდატის მოტივაცია და პროფესიული გამოცდილება. მსურველებმა:

-უნდა შეავსონ თანდართული “პროგრამის მონაწილის ანკეტა”

-დაურთონ რეზიუმე (CV)

-წარმოადგინონ მათ მიერ მომზადებული საგამოცდებო სტატია, ან ფილმი ელექტრონული სახით (CD-ზე ჩანერილი), ან მიუთითონ ინტერნეტის შესაბამისი ბმული

-გემოაღნიშნული დოკუმენტაცია გადმოაგზავნონ/წარმოადგინონ არაუგვიანეს 16 დეკემბრისა შემდეგ მისამართზე: metreveli@gyla.ge

თბილისი, ჭ.კახიძის ქ. #15

მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია.

ტრენინგის მონაწილე ჟურნალისტებისათვის უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების, კვებისა და მგზავრობის ხარჯი.

ტრენინგი ჩატარდება თბილისის გარეთ, მაღალკომფორტულ სასტუმრო კომპლექსში. სკოლის დასრულების შემდეგ მონაწილეებზე გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი. დავეკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ პირებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ.

საკონტაქტო პირი: თამარ მეტრეველი 2 93 61 01 (125); 599 51 00 63